პროფესიული განათლების მასწავლებლის გამოკითხვა

შპს საზოგადოებრივი
კოლეჯი ამაგი 2024 წელი

სარჩევი

- შესავალი
- კვლევის მეთოდოლოგია
- მიზანი
- კვლევის ამოცანები
- კვლევის შეზღუდვები
- კვლევის შედეგები
- დასკვნა
- რეკომენდაციები

შესავალი

- კვლევა დაიგეგმა და ჩატარდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის (შემდგომში კოლეჯი) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმზე დაყრდნობით და სასწავლო მარეგულირებელი დებულების შესაბამისად. განხორციელდა დემინგის ციკლის მიხედვით შეფასების ეტაპი, რაც გულისხმობს კოლეჯის სხვადასხვა სამსახურის საქმიანობის შიდა შეფასებას, შეფასების შედეგებზე რეაგირებას, მიღებული შედეგების გაუმჯობესებას. ამ ეტაპზე სამიზნეს წარმოადგენდა კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი.
- კოლეჯი მუდმივად იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით.

კვლევის მეთოდოლოგია

- კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, გამოკითხვა განხორციელდა google.doc-ის მეშვეობით. გამოკითხვის დროს დაცული იყო თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის კონფიდენციალურობა. პროფესიული განათლების მასწავლებლებს google.doc ლინკი მიეწოდათ დახურულ facebook ჯგუფების მეშვეობით.
- პროფესიული განათლების მასწავლებლის მიეცათ ორი კვირის ვადა, რომ შეევსოთ კითხვარი.
- კითხვარი ითვალისწინებდა ღია და დახურული ტიპის კითხვებს.

მიზანი

- კვლევის მიზანია კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების თანახმად („პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტები“).

კვლევის ამოცანა

პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1.პროფესიულ განათლების მასწავლებელთა უნარების დადგენა

2.პროფესიულ განათლების მასწავლებელთა შეფასების მიდგომები

3.პროფესიულ განათლების მასწავლებელთა სწავლების მეთოდები

4.პროფესიულ განათლების მასწავლებელთა კლასის მართვის მიდგომების დადგემა

კვლევის შეზღუდვები

- კვლევის პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებლების მხრიდან დაბალი აქტივობა (19 პროფესიული განათლების მასწავლებელი 56 დან) კვლევის პროცესის დროს პროფესიული განათლების მასწავლებლებს დამატებით დასჭირდათ შეხსენება, რომ შეევსოთ კითხვარი.
- რესპონდენტთა პასუხები გადმოტანილია უცვლელად, შესაბამისად შესაძლებელია მათი პასუხები მოიცავდეს უზუსტობებს.

კვლევის შედეგები

1. იცნობთ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მისიას,ხედვას და ღირებულებებს ?

რესპონდენტთა 100%-თვს ცნობილია კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები



3 .როგორ მიიღეთ ინფორმაცია 2024-2025 წლის დატვირთვის შესახებ ?

რესპონდენტთა 94.7%-მა ინფორმაცია მიიღო ელ.ფოსტის მეშვეობით.



4.ყველაზე ხშირად რა მეთოდებს იყენებთ სასწავლო პროცესის წარმართვისას

ყველზე ხშირად რესპონდენტები იყენებენ შემდეგ მეთოდებს:

- პრეზენტაციას და ინტერაქციული ლექციას;
- დისკუსიას, როლურ თამაშებს, ვიდეომასალას, ლექციას;
- თეორიულ/პრაქტიკული/ელექტრონულ სწავლებას;
- გონებტივ იერიშს, ქეისის განხილვას;
- განმავითარებელ შეფასევას ABC , დემონსტრირების მეთოდებს;
- უკუკავშირს, წყვილებში მუშაობის მეთოდს;
- თვალსაჩინოებას;
- სემინარი, სავარჯიშოები, გონებრივი იერიშს, ჯიგსოუ;
- ახალი მასალის ახსნა-განხილვას, ფოტო და ვიდეო მასალის ჩვენებას;
- რაც გათვალისწინებულია კრიტერიუმის მიხედვით;
- განმავითარებელ და განმსაზღვრელი შეფასების მეთოდებს.
- დიფერენცირებულ სწავლებას, კონსტრუქტივისტურ სწავლებას.

5.გაქვთ შემუშავებული 2024-2025 წლის კალენდარული გეგმა ?

რესპონდენტთა 84.2%-ს შემუშავებული აქვს კალენდრული გეგმა. 15.8%-ს ჯერ არ უწევს მოდულის განხორციელება.



6. კალენარულ გეგმას ადგენთ:

რესპონდენტთა 68.4 % დამოუკიდებლად ადგენს ალენდარულ გეგმას, 10.5%-ს ეხმარება სასწავლო პროცესის მენეჯერი, 21.1 %-ს პროგრამის ხელმძღვანელი;



7.კალენდარული გეგმას ვინახავ მასწავლებლის პორთფოლიაში და განთავსებულია სამასწავლებლოში

რესპონდენტთა 97.1% ადასტურებს მოცემულ მტკიცებას.



8.ყოველკვირეული სასწავლო ცხრილი მოგეწოდებათ

რესპონდენტთა 84.2 % ცხრილს იღებს Facebook პლათფორმაზე, 10.5%-მა იცის წინასწარ იმიტომ რომ ათანხმებს სასწავლო პროცესის მენეჯერთან ყოველკვირეულად, 5.3% იგებს პროგრამის ხელმძღვანელისგან.



9.თქვენ შეიმუშავებთ შეფასების ინსტრუმენტებს დამოუკიდებლად ?

რესპონდენტთა 100% შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს დამოუკიდებლად



10.ვის უგზავნით შეფასების ინსტრუმენტს?

რესპონდენტთა 42.1% შეფასების ინსტრუმენტს უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს, 31.0% - ორივეს, 5.9% - სასწავლო პროცესის მენეჯერს.



11.პროფესიული სტუდენტის შეფასების დროს აღრიცხვას ახდენთ (შეგიძლიათ აირჩიოთ რამოდენიმე პასუხი)



12 .როგორ აცნობთ პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგებს

რესპონდენტები სწავლის შედეგებს პროფესიულ სტუდენტებს ძირითადად აცნობე პირადად, ინდივიდუალურად , ზეპირსიტყვიერად, განიხილავენ სასწავლო პროცესის დროს, facebook ჯგუფების საშუალებით;

ზოგი აღნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ შესაბამისი მოდულის შედეგებს; ეცნობიან კალენდარული გეგმის მიხედვით,ყოველი სწავლის შედეგის დასაწყისში;

აღნიშნეს, რომ სტუდენტს აძლევს შეფასების ინსტრუმენტს, ის ეცნობა თავის შეცდომებს და ვაძლევ ზეპირ განმავითარებელ კომენტარს. (აქ ალბათ იგულისხმეს შეფასების შედეგი).

13 .მონაწილეობთ თუ არა პროფესიული განვითარების აქტივობებში ?



14 . დაასახელეთ რა აქტივობაში მიიღეთ მონაწილეობას ბოლო ექვსი თვის მანძილზე

- ქუთაისსა და ოზურგეთში დარგობრივ შეხვედრაზე;
- ფარმაცევტული კომპანიის მიერ ორგანიზებული კონფერენცია;
- სხვადასხვა ტრენინგებზე(4);
- სოფლის მეურნეობის პროფესიული მასწავლებლების გაერთიანებული შეხვედრა იმერეთის და გურიის რეგიონებში;
- ტრენინგებზე: ზეპირი შეფასების მიდგომები, შეფასების ინსტრუმენტების და კალენდარული გეგმების მომზადება, სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები.(3)
- რეგულარულად ვმონაწილეობ უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში;
- ბოლოს ფარმაცევტის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- სპორტულ შეჯიბრება, ფარმაცევტის საერთაშორისო დღის აღნიშვნა;
- ბოლო ექვსი თვის განმავლობაში არ მიმიღია მონაწილეობა(2)

15. როგორ ახორციელებთ კოლეჯის რესურსებზე ზრუნვას?

- ყოველი მეცადინეობის შემდეგ ვითვლი ყველა გამოყენებულ ინსტრუმენტსა თუ მასალას და ვაბრუნებ პირვანდელ ადგილას;
- ვცდილობ რომ რესურსები გამოყენებული იქნეს მიზნობრივად;
- ვუფრთხილდები;
- ვუფრთხილდები ლაბორატორიაში არსებული მატერიალური რესურსებს. რეაქტივების საჭირო რაოდენობის ამოწურვის, მინის წურჭლის ან სხვ. დაზიანების შემთხვევაში ვაცნობებ პროგრამის ხელმძღვანელს, შედეგად კოლეჯი ზრუნავს მოთხოვნების განხორციელებაზე;
- საჭიროების შემთხვევაში ვიყენებ და არ ვაზიანებ;
- აქცევ ყურადღებას სასწავლო დღის ბოლოს ხომ არ არის გამოსართავი ან დაძიანებული;
- რესურსებმა უნდა უზრუნველყოს ფროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა ლექციაზე, ყურადღებით ვარ ელექტრონულ რესურსებთან ჩართულს არ ვტოვებ,სწორად ვარჩევ სასწავლო ლიტერატურას და დროულად ვაბრუნებ, თვალსაჩინოებეს ვიყებნებ სიფრთხილით ზუსტად შერჩეულს.
- ყოველი ლექციის დასრულების შესახებ ვამოწმებ კომპიუტერებს;
- ყოველი სწავლის შედეგის გავლის დროს ვიყენებ იმ რესურსებს რაც სწავლის შედეგისთვის არის გათვალისწინებული;
- მოდულის შესაბამისად მოთხოვნას ვუგზავნიპროგრამის ხელმძღვანელს

16 .გაქვთ თუ არა ყველა საჭირო მასალა ნედლეული იმისათვის რომ განახორციელოთ მოდული?



17. ვისთან ხართ ანგარიშვალდებული?

რესპონდენტთა უმრავლესობა ასახელებს:

- სასწავლო პროცესის მენეჯერთან(3)
- პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის მართვასთან
- ხელმძღვანელთან, მენეჯერთან, ადმინისტრაიასთან,დირექტორთან
- პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის სამსახური, დირექცია, ხელმძღვანელი.
- პროგრამის ხემლძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელთან(2)
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ასევე:

- პროფესიულ სტუდენტებთან,რომ მივაწოდო მაქსიმალური ცოდნა და ხელმძღვანელობასთან
- როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერთან
- ვალდებულების ხასიათის შესაბამისად- ყველასთან ,ვისთანაც პროფესიული და კოლეგიალური საქმიანი ურთიერთობა მაქვს

18.კომპეტენციის ფარგლებში რა საქმიანობას ახორციელებთ (მაგალითად მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა ვერიფიკაციის პროცესში ან სხვა)

რესპონდენტებ ასახელებენ შემდეგ აქტივობებს:

- მიმიღია მონაწილეობა ვერიფიკაციაში(4);
- საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის მუშაობაში;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სამუშაო ჯგუფის მუშაობაში;
- მიმიღია მონაწილეობა პედაგოგებისთვის კომპიუტერული უნარების გაძლიერებაში;

19 რა სახის ტრენინგები გჭირდებათ, რომ უკეთ შეასრულოთ თქვენი უშუალო მოვალეობა კოლეჯში?

რეპონდენტები ასახელებენ შემდეგს:

- ისევ და ისევ სასწავლკ პროცესთან დაკავშირებული;
- ყველა საინტერესო და ინფორმატიულია;
- პროფესიული კუთხით;
- სასწავლო პროცესის წარმართვა;
- სწავლების ახალი მეთოდების გაცნობა;
- მოვისმენ ყველა სახის ტრენინგს რასაც შემოგვთავაზებთ;
- ამ ეტაპზე კოლეჯში მაქსიმალურად ტარდება ტრენინგები თანამედროვე მიდგომებთან დაკავშირებით. სიახლეების შემთხვევაში მოგვეწოდება საჭირო ინფორმაცია;
- პროგრამირება(2);
- ჯერ ჯერობით საჭიროებას ვერ ვხედავ;
- ყველა ტრენინგი უზრუნველყოფილია;
- კოლეჯი რეგულარულად ზრუნავს ამაზე;
- რომელიც გაგვაცნობს სწავლების თანამედროვე და ეფექტურ მეთოდებს;

20 . რას საჭიროებთ და რას ვერ იღებთ კოლეჯში ეფექტური სწავლების გადასაცემათ

რესპონდენტები გამოთქვამენ კმაყოფილებას, მაგალითად:

- ყველაფერში გვერდით გვიდგია კოლეჯი , ამ ეტაპზე არანაირი საჭიროება არ გვაქვს;
- ყველა რესურსია;
- ყველა პირობაა კოლეჯში შეწმნილი სასწავლო პროცესისთვის;
- მოსწავლეთა სრულყოფილი დასწრება;
- ასეთი არ არის(2);
- ეფექტური სწავლებისათვის კოლეჯში შექმნილია სათანადო პირობები;
- კოლეჯში შექმნილია ყველა სახის პირობა ეფექტური სწავლებისთვის;
- ამ ეტაპზე რაც მჭირდება, ხელმისაწვდომია;
- ყველა კომპიუტერის გამართული მუშაობა;
- ყველა პირობა გვაქვს ეფექტური სწავლების გადასაცემად;
- ჩემთვის პირობები და რესურსი საკმარისია;
- ხშირად ინტერნეტი არ არის მეორე სართულზე;
- მოთხოვნის საფუძველზე, თითქმის ყოველთვის ვიღებთ საჭირო დახმარებას, როგორც მატერიალური რესურსების, ისე ტექნიკური ხასიათის;
- კოლეჯში შექმნლია ყველა პირობა, რათა მოდულის შესწავლა მოხდეს ეფექტურად;

დასკვნა

გამოკითხვის შედეგები კოლეჯის მიერ გაანალიზდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 ოქტომბრის ბრძანება №162/ნ „პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების“ ჭრილში, კერძოდ დადგინდა, რომ:

ა) სტანდარტი 1. ანალიზი და დაგეგმვა – დარგის განვითარების უახლესი ტენდენციების, განახლებული ცოდნისა და ტექნოლოგიების, მათ შორის სწავლა-სწავლების ახალი მეთოდოლოგიის და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, სასწავლო პროცესის დაგეგმვა, კოლეგებთან თანამშრომლობით, შესაბამისი მარეგულირებელი აქტების მოთხოვნების გათვალისწინებით

- პროფესიული განათლების მასწავლებლები შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მარეგულებელელი დოკუმენტაციის შესაბამისად გეგმავენ საგანმანათლებლო პროცესს , შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს, წარუდგენენ პროგრამის ხელმძღვანელს და სასწავლო პროცესის მენეჯერს , კალნდარული გეგმა ითვალისწინებს სწავლის თანამეროვე მიდგომებს ინდივიდუალურ საჭიროებებს.

დასკვნა

ბ) სტანდარტი 2. სასწავლო გარემოს მოწყობა – უსაფრთხო, პოზიტიური და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა ინკლუზიური სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად და სწავლის შედეგების მისაღწევად;

- პროფესიული განათლები მაწავლებლები საჭირო მატერიალურ ან სასწავლო რესურს პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ითხოვენ დირექციისგან, ასევე ჩართულები არიან სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატრერიალური რესურსის მონიტორინგში. ზრუნავენ კოლეჯის ინფრასტრუქტურაზე და აქვთ მაღალი პასუხისმგებლობა

დასკვნა

გ) სტანდარტი 3. სასწავლო პროცესის წარმართვა - პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვა სასწავლო გეგმის და სწავლის შედეგების შესაბამისად, თანამედროვე/მრავალფეროვანი მეთოდების, ტექნოლოგიებისა და სასწავლო რესურსების გამოყენებით;

- პროფესიული განათლების მასწავლებლები იყენებენ სწავლების პროცესში თანამედროვე სწავლების მიდგომებს , სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებლები კალენდარული გეგმის შემუშავებისას (დაგეგმვისას) არჩევენ თემატიკის შესაბამის სწავლის თანამედებს - მიდგომებს, სასწავლო პროცესში იყენებენ ტექნოლოგიებს პრეზენტაციები და სხვა მეთოდების გამოყენებით

დასკვნა

დ) სტანდარტი 4. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასება – პროგრამისა და სწავლის შედეგების შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, შექმნა/ადაპტირება და გამოყენება; პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების შედეგების ანალიზი, საჭიროებისამებრ უკუკავშირის მიწოდება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით;

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიმუშავებს შეფასების ინსტრუმენტს და სასწავლო პროფესის მარეგილი წესის შესაბამისად დადგენილ ვადებში წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს და პროგრამის ხელმძღვანელს. შეფასების პროცესის დროს აღრიცხავს პროფესიული სტუდენტების დასწრებას ტაბელის მეშვეობით , იღებს ფოტოს მტკიცებულების სახით (ან სასწავლო პროცესის დახმარებით)

დასკვნა

ე) სტანდარტი 5. ეთიკური და ეფექტიანი სამუშაო ურთიერთობების ჩამოყალიბება – პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან, კოლეგებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობითი, საქმიანი, ეთიკური და ეფექტიანი ურთიერთობის წარმართვა

- პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო საგაკვეთილო პროცესს წარმართვას ეთიკის ნორმების დაცვით , პროფესიული სტუდენტების გამოკითხვიდან ჩანს პროფესიული განათლების მასწავლებლის დამოკიდებულება პროფესიული სტუდენტის მიმართ არის დამთმობი, მეგობრული, დამრიგებლური.

დასკვნა

3) სტანდარტი 6. საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა – პროფესიის მიმართ წაყენებული მოთხოვნებისა და საკუთარი საქმიანობის ანალიზის საფუძველზე უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა 84% აქტიურად არის ჩართული პროფესიული კოლეჯი მიერ დაგეგმილ განმავითარებელ ტრენინგებში. 15.8 % ჩართულია იშვიათად , აღნიშნული განპირობებულია ხშირად ოჯახური პირობების გამო და რამოდენიმე სამუშაო ადგილზე გადატვირთული გრაფიკის გამო.

რეკომენდაციები

კვლევის მიზნიდან გამომდინარე რეკომენდირებულია, კოლეჯის მიერ დაიგეგმოს პროფესიული განათლების მასწავლებლენთან შეხვედრები საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების გაცნობის მიზნით;

რესპონდენტთა არაერთგვაროვანი პასუხებიდან გამომდინარე რეკომენდირებულია კოლეჯის მიერ დაიგეგმოს სწავლის შეფასების გაცნობის მექანიზმების გაცნობა პრფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, რასაც ისინი მომავალში დაეყრდნობიან.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელებს არ აქვთ ამ ეტაპისათვის საკმარისი გამოცდილება სსმ და შშპ პირთა სასწავლო გარემოს შექმნისა და სწავლების პროცესის წარმართვის მიმართულებით, რადგან ამ ეტაპამადე კოლეჯში ირიცხებოდა მხოლოდ ერთი პროფესიული სტუდენტი ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე. რეკომენდირებულია ჩატარდეს დამატებითი კვლევა პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესაძლებლობების დადგენის მიზნი შემდეგი მიმართულებით: სასწავლო გარემოს შექმნა ინკლუზიური სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად და სწავლის შედეგების მისაღწევად.